საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №243

2008 წლის 10 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის სახელმწიფო ტყის ფონდის ყოფილი ახალსოფლის სატყეოდან ბარბარეს სახელობის ეკლესიის მიმდებარედ მიჩენილი უბნის (40.7 ჰა ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიური და სარიტუალო ღონისძიებე-ბისათვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ტყის ფონდის ყოფილი ახალსოფლის სატყეოდან ბარბარეს სახელობის ეკლესიის მიმდებარედ გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული ყოფილი ახალსოფლის სატყეოს კვარტალ №97-ში უბანი №18-დან ფართობი 8.5 ჰა, უბანი №19-დან ფართობი 10.0 ჰა, უბანი №20-დან ფართობი 2.3 ჰა, უბანი №22-დან ფართობი 0.7 ჰა, უბანი №23-დან ფართობი 3.8 ჰა, უბანი №24-დან ფართობი 2.3 ჰა, უბანი №25-დან ფართობი 7.7 ჰა, უბანი №26-დან ფართობი 5.4 ჰა, სულ – 40.7 ჰა;

გ) მიჩენილი უბნის მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობების დაზუსტება მოხდეს კოორდინატთა სისტემაში მომზადებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად;

დ) მიჩენის ვადად განისაზღვროს ოცი წელი;

ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი